სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის

2019 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

ზოგადი განათლების მიმართულება 3

პირველკლასელთა რეგისტრაცია 3

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ადმინისტრირება 3

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მხარდაჭერა 3

სასკოლო სასწავლო რესურსების გრიფირება 3

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა 4

ელექტრონული ჟურნალი 4

ერთიანი ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა EL.GE 4

პროფესიული განათლების მიმართულება 5

უმაღლესი განათლების მიმართულება 6

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება 7

საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით შესრულებული სამუშაოები 7

ერთიანი ცენტრალიზებული ტიპის გამოცდების პროცესის ტექნიკური მხარდაჭერის უზ რუნველყოფის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: 8

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულება 9

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პროექტი (GIS) 9

მიმდინარეობს მონაცემთა ვიზუალიზაციის, ანალიზისა და ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფა (CLICK) 9

განხორციელებული სამუშაოების სხვადასხვა ვებ-პორტალებისა თუ სერვისების შემუშავების, დანერგვისა და მხარდაჭერის მიმართულებით 9

ზოგადი განათლების მიმართულება

პირველკლასელთა რეგისტრაცია

პირველკლასში ჩასარიცხი მოსწავლის ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფის ფარგლებში, განხორციელდა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული პროცესების, ასევე რეგისტრაციის სისტემის მომხმარებლის ინტერფეისის, ფუნქციონალური დატვირთვისა და სტრეს ტესტირებების კოორდინაცია, ინციდენტების მართვის უზრუნველყოფა. ასევე, განახლებული ფუნქციონალის, რეგისტრაციის მეოთხე ეტაპის შემუშავება და დანერგვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (ESCHOOL) ადმინისტრირება

აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: სისტემის პროგრამული ნაწილის სრულყოფა, არსებული მოდულების მოდიფიცირება, ახალი მოდულების/კომპონენტების შემუშავება ("საშტატო განრიგის წარდგენა", „პრაქტიკოსი პედაგოგების საპენსიო ჯილდოზე წარდგენა", „პირველ კლასში რეგისტრაციის ფარგლებში, სსსმ პირებისთვის ვაკანტური ადგილების ასახვა", „მასწავლებლობის მაძიებლის ფუნქციონალი") მათი სისტემაში ინტეგრაცია, ტესტირება და დანერგვა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მხარდაჭერა

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, მართვის სისტემის მიერ შექმნილი ,,მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემის" პროგრამული ნაწილის ტექნიკური მხარდაჭერა.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ცვლილებების შესაბამისად, მასწავლებელთა შეფასების ელ. სისტემის მოდიფიცირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა/კოორდინაცია.

სასკოლო სასწავლო რესურსების გრიფირება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო რესურსების გრიფირებისა და შეფასების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის არსებული მოდულების მოდიფიცირებისა და სისტემის დანარჩენი მოდულების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა/კოორდინაცია.

რეცენზირების პროცესის დაგეგმვა და კოორდინაცია. კერძოდ, რეცენზირების პროცესის უზრუნველსაყოფად შესარჩევი კონკურსების ორგანიზება და შერჩეულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება. რეცენზიების პროცესში ჩართული პირების შრომითი ურთიერთობების მართვა, მათთვის შესაამისი დავალებების მიცემა, სამუშაოების შესრულების მონიტორინგი და კოორდინაცია. რეცენზირების წესით განსაზღვრული ვადების კონტროლი და თანამშრომლების მიერ შესასრულებელი ამოცანების კოორდინაცია.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა

პროექტის გარგლებში, 2019 წლის მანძილზე, მართვის სისტემამ უზრუნველყო 500-მდე საჯარო სკოლაში ინტერნეტ კავშირის ტიპის ცვლილება/გაუმჯობესება. შედეგად, სკოლებში გლობალური ინტერნეტსიჩქარე გაუმჯობესდა - 7გბ/წმ-ში.

„ახალი სკოლის მოდელის" რეფორმის ფარგლებში საჯარო სკოლების დაწყებით კლასელთა პორტატულ კომპიუტერებზე განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია. სკოლებისათვის გადაცემული კომპიუტერების ტექნიკური გამართვა; და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის (ESIDA) დამუშავდა და მიეწოდა ინფორმაცია სკოლების ტექნოლოგიებით აღჭურვისთვის საჭირო შესასყიდი ტექნიკის სპეციფიკაციებისა და რაოდენობების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში, პროექტის ფარგლებში, შეუფერხებლად განხორციელდა - 220 საჯარო სკოლის უსადენო (WiFi) ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა.

ელექტრონული ჟურნალი

ზოგადი განათლების რეფორმის პროექტის "ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავდა ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონალი, გამოცხადდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ, შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშავა ვებ და მობილური აპლიკაციები. პროექტის დანერგვის ფარგლებში, მართვის სისტემის მიერ გადამზადდა - 127 ექსპერტი, რომელებმაც ჩაატარეს რეფორის - 166 სკოლის მასწავლებლების ტრენინგი. იანვრის თვიდან იგეგმება ელექტრონული ჟურნალის საპილოტე რეჟიმშო დანერგვა.

ერთიანი ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა EL.GE

მიმდინარეობდა, პორტალის მოდიფიცირება, შედგა პარტნიორ ორგანიზაციებთან ინფორმაციულ - საკომუნიკაციო შეხვედრები, მოწოდებული რესურსები განთავსდა პორტალზე და მოხდა საზოგადოების ინფორმირება აღნიშნული პროექტის შესახებ. ამ ეტაპისთვის პორტალზე ატვირთულია 21600-ზე მეტი ელ. რესურსი. პორტალს ჰყავს 19 პარტნიორი ორგანიზაცია. მიმდინარეობდა მუშაობა საგანმანათლებლო ელ.

რესურსების განვითარებაზე და ქართული ტექსტის გაციფრულების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე (პორტალი).

პროფესიული განათლების მიმართულება

განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVet) პროგრამული ნაწილის სრულყოფა, არსებული მოდულების მოდიფიცირება, ახალი მოდულების/კომპონენტების შემუშავება მათი სისტემაში ინტეგრაცია, ტესტირება და დანერგვა („პროფესიული სტანდარტი", „პროფესიული მოდული", „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება", „პროგრამები"). შემუშავებული მოდულების საპილოტე რეჟიმში დანერგვის ფარგლებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს დამტკივებული სტანდარტების და მოდულების ელექტრონულ სისტემაში ინტეგრაციას.

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მიმართულებით, მართვის სისტემისთვის განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში, ორ ეტაპად განხორციელდა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემის შექმნა.

აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის (www.tvet.emis.ge) მეშვეობით, ელექტრონულად ხორციელდება, როგორც პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების უფლების მოპოვების, ისე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე საქმისწარმოება და შესაბამისი ეტაპები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს იურიდიული პირის მიერ განაცხადის წარდგენიდან, მსმენელისთვის სერთიფიკატის გაცემამდე - სრული პროცესის ელექტრონულ ფორმატში წარმართვის შესაძლებლობას. ამ ეტაპისთვის, სისტემაში რეგისტრირებულია - 31 იურიდიული პირი. სისტემაში დაწყებულია - 28 პროგრამის შემუშავება, წარსადგენად გამზადებულია - 4 პროგრამა და განხილვის პროცესშია - 22 პროგრამა.

განხორციელდა 2019 წლის გაზაფხულის და შემოდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეზე ჩარიცხვის მსურველთა მიღების და ჩარიხვების პროცესის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო სისტემის მოდიფიცირება და კოორდინაცია.

უმაღლესი განათლების მიმართულება

საანგარიშო პერიოდში დაინერგა და ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი, (regadmin.emis.ge), რომელშიც აისახება ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (საჯარო/კერძო), შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე (აბიტურიენტი)/ჩარიცხული პირების (სტუდენტების) შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაწესებულებაში დასაქმებული სხვა პერსონალის შესახებ.

დანერგილია მობილობის ელექტრონული პორტალი (mobility.emis.ge), რომლითაც მართვის სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. წარმატებით განხორციელდა 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის მობილობის პროცესი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნა 5519 მობილობის მსურველი პირის განაცხადის განხილვა და მობილობის შედეგების საფუძველზე 4189 სტუდენტზე შესაბამისი დასკვნის გაცემა, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზნით.

2019 წლის პირველი აპრილისა და პირველი ნოემბრის მდგომარეობით, გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია, სახელმწიფო სასწავლო/სოციალური პროგრამის ფარგლებში/სახელმწიფო სამაგისტრო გრანტისა და პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გადასარიცხი თანხების ოდენობის შესახებ. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად დასრულდა მუშაობა გრანტის დათვლის სისტემაზე „Uni-Grants", ასევე შემუშავდა „პროგრამული დაფინანსების" ელექტრონული მოდული და სატესტო რეჟიმში ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსების ავტომატური დათვლა.

შემუშავდა და დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდების ელექტრონული ანკეტა-კითხვარი, რომლითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უზრუნველყვეს 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მიღების ელექტრონულად გამოცხადება (ამ ეტაპისთვის საერთო ჯამში - 60 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 658 საგანმანათლებლო პროგრამა) სპეციალური პროგრამის გამოყენებით (uni.emis.ge).

შექმნილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემა (QMS), რომლის მეშვეობითაც მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდა ავტორიზაციიე პირველი ელექტრონული პროცესი. ასევე, მიმდინარეობს არსებული მოდულების მოდიფიცირება, ახალი მოდულების/კომპონენტების შემუშავება და დანერგვა ასევე, მონაცემთა ბაზებს შორის ინფორმაციის მიგრაციის და სინქრონიზაციის სერვისების შექმნა.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიმდინარეობს ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომელიც გარდა მონაცემების შეგროვებისა უზრუნველყოფს უმაღლეს განათლებაში მიმდინარე ძირითადი პროცესების სრულ ავტომატიზაციას.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება

საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით შესრულებული სამუშაოები

- **ახალი მომხმარებლების ერთიან ინფორმაციულ – საკომუნიკაციო ქსელში ჩართვა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს შერწყმის პროცესის ფარგლებში, განხორციელდა ყველა თანამშრომლის ჩართვა და ასევე განხორციელდა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მომხმარებლების ინტეგრაცია.
- **ახალი მონაცემთა ცენტრის ჩართვა –** ამოქმედდა ახალი მონაცემთა ცენტრი, რომელშიც დამონტაჟებულია უახლესი თანამედროვე გაგრილების სისტემა, უწყვეტი კვების წყარო და სერვერები. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მონაცემთა ცენტრში განთავსებული ინფრომაციისა და სერვისების უწყვეტად მიწოდების და უსაფრთხოების უფრო მაღალი გარანტიები.
- **ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების განახლება** - ამოქმედდა უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიური ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მომხმარებლების ასევე სერვისების დაცვის უფრო მაღალ გარანტიებს.
- **დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) დანერგვის ფარგლებში განხორციელდა** სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და კვალიფიციული ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვის მხარდაჭერა; სისტემის ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და მართვა. განათლების სისტემაში ავტომატიზირებული საქმისწარმოების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა (eFlow) დაინერგა შემდეგ დაწესებულებებში: სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტში; სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში; სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში; სსიპ საქართველოს

ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში; სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში; შპს სპორტმშენსერვისში; სსიპ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრში; შპს "ბლექ სი არენა ჯორჯია"-ში; ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი "კონსტრუქტ2"-ში; სსიპ ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯში; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში; სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში; ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლში; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

ერთიანი ცენტრალიზებული ტიპის გამოცდების პროცესის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- **ექსტერნის ცენტრალიზებული გამოცდები -** XII კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველ მოსწავლეთათვის ცენტრალიზებული ელექტრონული გამოცდების ორგანიზება, პროცესის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერის კოორდინაცია, ინციდენტების მართვის უზრუნველყოფა.
- VI-IX და VIII-X კლასების მოსწავლეებისათვის ორგანიზებული გამოცდების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად განსაზღვრული პროცესების კოორდინაცია.
- **პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ტესტირების** ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად განსაზღვრული პროცესების კოორდინაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად განსაზღვრული პროცესების კოორდინაცია;
- **ოლიმპიადები** - საჯარო და კერძო სკოლებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმატით ჩასატარებელი ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების სრული ტექნიკური მხარდაჭერა.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **გადასვლის/მობილობის პროცესების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.**

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულება

მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წლისათვის განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენოების შეფასება/პროგნოზირების. ასევე, განხორციელდა სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის ვარგისიანობის შეფასება და 2018-2019 სასწავლო წლისთვის შესაძენი სახელმძღვანელოების სავარაუდო რაოდენობის დადგენა. ასევე, ხორციელდებოდა, დაინტერესებული პირებისთვის, განათლების მიმართულების სხვადასხვა საჯარო ინფორმაციის დამუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემის უზრუნველყოფა.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პროექტი (GIS) განათლების სისტემის ცენტრალიზებული გეოსაინფორმაციო სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა დარუკებასა და სხვადასხვა საინფორმაციო-ანალიტიკური ამოცანების შესრულებას. 2019 წელს უზრუნველყოფილ იქნა გეოსაინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, სკოლების და რუკება და სკოლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმების მოდელირების დაწყება.

მიმდინარეობს მონაცემთა ვიზუალიზაციის, ანალიზისა და ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფა (CLICK)

პროექტის ფარგლებში განხორციელდა თანმდევი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და არსებულ მონაცემთა ბაზებთან ინტეგრაცია. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სტატისტიკის ვიზუალიზაცია და სამინისტროსთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

განხორციელებული სამუშაოების სხვადასხვა ვებ-პორტალებისა თუ სერვისების შემუშავების, დანერგვისა და მხარდაჭერის მიმართულებით

- საქართველოს განათლების სისტემაში მართვის საინფორმაციო სისტემების განვითარების ფარგლებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ახორციელებდა საქართველოს განათლების სისტემაში არსებული ელექტრონული მონაცემების შეგროვების, შენახვის და ადმინისტრირების უზრუნველყოფას, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემების შექმნას, მოდიფიცირებას, დანერგვასა და ადმინისტრირებას.

- მართვის სისტემასა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სააგენტოსთვის მიგრაციასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიწოდების სერვისი.
- მართვის სისტემასა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარეობს ფონდისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდების სერვისი. (ინფორმაცია - სკოლების, სკოლის მოსწავლეების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ).
- მიმდინარეობდა ოლიმპიადების შედეგების გაზიარების ელექტრონული პორტალი (olympics.emis.ge) ტექნიკური მხარდაჭერა.
- მიმდინარეობდა თბილისის მუნიციაპლური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველსაყოფად, სს „საქართველოს ბანკისთვის" ონლაინ, სერვისის სახით თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა საჯარო სკოლის დირექტორების, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებისა და სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაცია და უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაცია.
- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.
- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 2018-2019 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთათვის პირველადი ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ატესტატის საყოველთაო გაცემის უზრუნველსაყოფად მონაცემთა ბაზების ბაზების ფორმირება/განახლება და აღნიშნული პროცესისათვის განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინაცია (კურსდამთავრებულთა სტატისტიკა, ბლანკების ბეჭდვა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული უზრუნველყოფა და სხვა).
- მანდატურების მართვის ელექტრონული სისტემა - EROFFICER-ის პროექტის ფარგლებში, 2019 წელს განხორციელდა ელექტრონული სისტემის შემუშავებისა და დანერგვის ბიზნეს პროცესის კოორდინაცია. შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფის განახლებული ფუნქციონალი, გამოცხადდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიმუშავა და წარმოადგილნა პროგრამული უზრუნველყოფა. მართვის სისტემამ კომპანიასთან ერთად უზრუნველყო Erroficers-ის ინტეგრაცია ელ. ჟურნალში, რათა მშობელს დისტანციურად, უწყვეტ რეჟიმში, ჰქონდეს წვდომა მოსწავლის დარღვევების შესახებ ინფორმაციაზე.